№ 265
ხუთშაბათი, 15 დეკემბერი 1894

1877—1894

# ივერია

№ 265
ხუთშაბათი, 15 დეკემბერი 1894

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

---

## „ი ვ ე რ ი ა“

გამოვა 1895 წელსაც
**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტ ფ ი ლ ი ს ი,
**„ივერიის“ რედაქციას**
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

---

დამფუძნებელთ ტფილისის საურთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოებისას სთხოვენ მობრძანდნენ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგურში კვირას, 18-ს ამ დეკემბერს, საღამოს შვიდს საათზე განსახილველად ზოგიერთ საგნებისა, რომელიც ხსენებულს საზოგადოებას შეეხება.

---

გამოვიდა, დაურიგდა ყველა წიგნის მაღაზიებსა კ. თავართქილაძის მიერ გამოცემული

კედლის კალენდარი

(4—6.—4)

---

ქართული წარმოდგენა
კვირას, 18 დეკემბერს
არტისტიულ საზოგადოების დარბაზში
(სოლოლაკში, ფითოევის სახლში)
ქართული წარმოდგენების მმართველ „ამხანაგობის“ დასისაგან წარმოდგენილი იქნება გ. მარჯანოვის მეორე სადებიუტოდ ქ-ნი საფაროვისა, ავალოვისა და ბ-ნი აბაშიძის მონაწილეობით

I

**მეორედ გაყმაწვილება**

დრამა 4 მოქმედ. გადმოკ. რუსულიდგან თავ. დ. ერისთავის მიერ.

II

**არც იქით, არც აქეთ'**

ვოდევილი 1 მოქმედ. გადმოკეთ. ვალერიან გუნიას მიერ.

მონაწილეობას ღებულობენ: საფაროვისა, ავალოვისა ჩერქეზიშვილისა, მ ქსიმიძისა, გამყრელიძისა, ტარიელოვისა; ბ-ნი აბაშიძე, გუნია, შათირიშვილი, კანდელაკი, გამყრელიძე, ადამიძე და სხვა.

ადგილების ფასი პარტერში სკამები 50 კაპ. მოყოლებული 2 მან. 50 კ. I ბალკონზე სკამები 50 კაპ. მოყოლებული ვიდრე 2 მანეთამდე.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

რეჟისორი ალექსეევ-მესხიევი
ადმინისტრატორი ვალერიან გუნია

---

## ტფილისი, 15 დეკემბერი

ფინანსთა სამინისტროში დღეს აღძრულია გადასაწყვეტად ერთი საგანი, რომლის ასე თუ ისე გადაწყვეტა ჩვენთვის და ერთობ ამიერ-კავკასიისათვის დიდ მნიშვნელობიანად უნდა ჩაითვალოს. სამხრეთ გუბერნიებს რუსეთისას, სახელდობრ, იმ ადგილებს, საცა ვაზი ჰხეირობს, უთხოვნიათ სამინისტროსათვის, რომ ვენახებზედაც ხანგრძლივ ვადიანი სესხი ეძლიოს. სამინისტროს, როგორც სჩანს მის მიწერ-მოწერისაგან, ეს ორიოდე ადგილის თხოვნა საერთო საგნად გადაუქცევია და საერთოდ წესის შემოღებისათვის ვენახების დაგირავების თაობაზე შესდგომია საქმის განხილვასა. ამას ვამბობთ იმ საბუთით, რომ ფინანსთა სამინისტრო შეჰკითხებია სამეურნეო სამინისტროს — როგორ და რა გზით შესაძლოა ვენახები გირაოდ მიღებულ იქმნას ხანგრძლივის სესხის სათავდებოდ.

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ სამეურნეო სამინისტროს აქაურ მის ხელქვევითა მოხელეთათვის მოუწერია ამ საგანზე თავისი აზრი წარმოსთქვან და სამინისტროს გაუგზავნონ. აქაურმა უფროსმა მოხელემ სამინისტროსამ ამ საგნის გამოსარკვევად მიიწვია სახელმწიფო ქონებათა სადგურში აქაური აგრონომები და ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის ზოგიერთი წევრნი და ამ კრებულმა უკვე შეადგინა თავისი გადაწყვეტილება, რომელიც საკმაოდ ვრცლად მოხსენებული იყო „ივერიაში“.

ჩვენ დღეს სრულებითაც არა გვაქვს აზრად გავარჩიოთ რაში მდგომარეობს ეს გადაწყვეტილება. ჩვენ გვსურს მხოლოდ გამოვარკვიოთ მნიშვნელობა აღძრულის საგნისა ჩვენის ქვეყნისათვის.

ჯერ, როცა ჩვენის საადგილ-მამულო ბანკის წესდება წარდგენილ იყო დასამტკიცებლად, მაშინ ყურადღება მიქცეულ იყო სამინისტროსი იმ მუხლზე, რომელიც ვენახებსაც ჰხადიდა სათავდებოდ ხანგრძლივის სესხისა. სამინისტრომ მაშინ ძალიან იუარა ეს მუხლი და თავისი უარი იმითი დაასაბუთა, რომ ვენახი იმისთანა ქონებაა, რომლის ღირებულობა იმოდენად სავენახე ადგილზე არ არის დაფუძნებული, რამოდენადაც პატრონის პირადს გარჯასა და მხნეობაზეო; გირაოდ მიღების დროს შესაძლოა ვენახი ისე იყოს მოვლილი და ნაკეთები, რომ კარგს და ღირებულ ფასად დაფასდეს, რადგანაც კარგად ნაკეთი ვენახი ერთობ ძვირფასი ქონებაა, ხოლო ვინ გვითავდებებს, რომ ხანგრძლივ დროთა განმავალობაში ვენახის მოვლა-პატრონობაში რაიმე ცვლილება არ მოხდეს და მოუვლელობით არ ამოვარდესო; მაშინ ბანკი უსათუოდ ზარალში ჩავარდება, რადგანაც კარგ ყოფაში დაფასებული ვენახი, ცუდ ყოფაში მოუვლელობით ჩავარდნილი, იმოდენას ველარ მისცემს პატრონს, რომ სესხის სიმძიმეს გაუძლოს და ძალა-უნებურად გასასყიდად უნდა ბანკს თავზე მოახვიოსო; ბანკი კიდევ კარგ ყოფაში დაფასებულს ვენახს, მოუვლელობით ცუდ ყოფაში ჩავარდნილს, ველარ ამოაღებინებს ვერც თავნსა და ვერც სარგებელს და უეჭველად იზარალებსო.

რასაკვირველია, ამ აზრს თავისი საბუთი აქვს: ვენახი ძვირფასი ქონებაა მხოლოდ მაშ ნ, როცა მართლა ვენახია. საკმარისია სამოთხს წელიწადს პატრონმა ხელი არ შეუწყოს, ვენახი აბეჩხარდება და ვაზის ნაშენობით ძვირფასი ქონება ცარიელ მიწის ღირებულობაზე-და ჩამოვარდება და ამ შემთხვევაში ზარალი ბანკისა უეჭველია. ამიტომაც სამინისტრომ ვენახი მარტო მოკლე ვადიან სესხის თავდებად იცნო და ვადად სამი წელიწადი დასდო, რადგანაც, რაც გინდ იყოს, სამი წელიწადი ისეთი მოკლე დროა, რომ ჯერ საიმედოა, მოვლა-პატრონობაში რაიმე ცვლილება არ მოხდეს და მერე ვენახი ისე არ წახდეს, რომ ვენახის ნიშან-წყალი მაინც არ შერჩეს. ჩვენის წესდების ძალით, შესაძლოა ამ სამს წელიწადს კიდევ სხვა ხუთიც მიემატოს, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ ყოველ ვადის მომატებაზე ვენახი ბანკის მიერ გაშინჯულ და შემოწმებულ იყოს. ვადას კიდევ როგორმე გაუძლებდა ვენახის პატრონი, მაგრამ აქ საქმე მარტო ვადა არ არის. საქმე ის არის, რომ ბანკმა მოკლე ვადიანი სესხი უნდა აძლიოს ნაღდ ფულითა და ამ მხრით საადგილ-მამულო ბანკები ერთობ დიდ დაბრკოლებაში არიან, რადგანაც უმთავრესი მათი ღონისძიება გირავნობის ფურცლებია და ნაღდი ფული, რაც აქვთ, მარტო ამ გირავნობის ფურცლის თავდებობაშია თითქმის დახაფრებული და ამის გარედ ხელთ არა აქვთ ნაღდი იმოდენად, რამოდენადაც სესხის მთხოვნელები არიან.

ამ ნაღდ ფულის ხელ-მოკლეობას ის მოსდევს, რომ ბანკები ღონის-ძიებას მოკლებულნი არიან მოკლე ვადიანის სესხის მთხოვნელები სავსებით დააკმაყოფილონ, ესე იგი, იმოდენა აძლიონ, რამოდენასაც მათის მამულების ღირებულება. გასწვდება, ბანკები ამ შემთხვევაში იმასა ჰრჩეობენ, რომ ნაღდი ფული გამოიზოგონ, რათა ბევრს გაჭირებულს ცოტ-ცოტაობით მაინც გასწვდნენ, თორემ მამულის ღირებულობაზე რომ წავიდნენ, ათში ერთ ორს თუ ეყოფა ნაღდი ფული ბანკისა. ამიტომაც ჩვენს ბანკს წესადა აქვს,

---

## ფელეტონი

**გრაფის დე-მონტევალის მეუღლის ბედი**

(ედუარდ შულტესი)

ის ამბავი, რომელიც გვსურს მოგითხროთ, ნამდვილად მოხდა, საფრანგეთში 1620 წელს. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ შეიძლება მკითხველმა ეს დაწვრილებითი ისტორიული ამბავი მოგონილად, ფანტაზიის ნაყოფად ჩასთვალოს.

იმ დროს შუა საფრანგეთში მდ. სენას მარცხენა ნაპირას მდებარე მამული ბოჟოლე ეკუთვნოდა გრაფს დე-მონტევალს. მაღლობზედ მყოფ სასახლის ახლოს გაშენებული იყო პატარა ქალაქი ბოჟე, რომელიც საგრაფოს პირველ ადგილად ითვლებოდა. გრაფს ცოლად ჰყავდა მშვენიერი, ლამაზი ქალი; ამათ ორი წელიწადი ქორწინების შემდეგ შეურყეველს ბედნიერებაში გაატარეს; მაგრამ შემდეგ გრაფის მეუღლე ძალიან ავად გახდა, ამ ავადმყოფობას ზედ დაერთო ხშირი გულის წასვლა და საშინელი მოუსვენრობა; მაგრამ სნეული ითმენდა ამ საშინელს ტანჯვას; სატკივარი ისე არა სტანჯავდა გრაფის მეუღლეს, როგორც ქმრის მოუსვენრობა, რომელიც სცდილობდა დაემალა ავადმყოფისათვის თავისი დარდი და ვარამი.

ავადმყოფობა თანდათან ძლიერდებოდა; უკვე აუტანელს ტანჯვასა ჰგრძნობდა და საუკუნოდ გამოსალმების ნიშნებიც ემატებოდა. ერთხელ ავადმყოფმა თავისს თავს ძალა დაატანა, უნდოდა წამომდგარიყო, მაგრამ უკრძნობელად დაეცა ბალიშზედ და იმის მეტად აღარ ვანძრეულა. ექიმმა, რომელიც გრაფთან ერთად არა ჰშორდებოდა ავადმყოფის ლოგინს, გამოუცხადა ჯავრისაგან გაშმაგებულს ქმარს: „თქვენი მეუღლე სულსა ჰლევსო“.

სამის დღის შემდეგ გრაფის მეუღლე, იმ დროინდელ ჩვეულებისამებრ, ფარჩის ტანთსაცმელით შემოსეს, თავი გვირგვინით შეუმკეს, მარჯვენა ხელის თითებზედ მრავალი ძვირფასი ბეჭდები გაუკეთეს, და დიდის ამბით გაასვენეს საგვარეულო სამარხში, რომელიც ბუჟეს ეკლესიის საკურთხევლის ქვეშ იმყოფებოდა. იმისდა მიუხედავად, რომ დეკემბერი იყო დი საშინელი ზამთრის ქარი იდგა, ბუჟეს ყველა მცხოვრებმა თავისს მოვალეობად ჩასთვალა დასაფლავებას დასწრებოდა. გრაფის ახალგაზდა მეუღლე უყვარდათ, პატივსა სცემდნენ, რადგან უზომო მოწყალე იყო საწყალებისა, მზად იყო სიტყვითა თუ საქმით ეშველა, შემწეობა მიეცა გაჭირვებულთათვის, ნუგეშსა სცემდა ყველა უბედურსა.

საღამოს გვიან დაბრუნდა თავისს სახლში ქალაქს გარეთ მცხოვრები სასაფლაოს მეთვალ-ყურე და ამასთან საფლავის მთხრელი, რომელიც გრაფის მეუღლეს დასაფლავებაზედ იყო და შემდეგ მთელი დღე ქუჩა-ქუჩა დახეტიალებდა, რომ სადმე სხვა სამუშაოც ეშოვნა, თუმცა ტყუილადკი—.

მესაფლავეს, კარის დაკაკუნებაზედ, კარი გაუღო იმისმა პატარა ქალიშვილმა და ნამტირალევის კილოთი გამოუცხადა, რომ ძალიან მშიერი ვარო. შევიდა რა ოთახში, მესაფლავემ შეიტყო, რომ იმისი ცოლი დაწოლილიყო. ეს ამბავი არაფრად ესიამოვნა უბედურს მამას. იმისი ოჯახი აქამომდე ნახევარზედ მშიერი იყო, ეხლა-კი სრულიად უნუგეშოდ იქნებოდა, სახლში არც ერთი ლუკმა პური არ მოიპოვებოდა. მესაფლავე ღრმად ჩაფიქრებული იდგა, თავისს ცოლისა და პატარა ქალიშვილს გაშტერებული, მისჩერებოდა უაზროდ, შემდეგ მობრუნდა, თითქოს რაღაცა გადასწყვიტაო, აანთო ხელის ფანარი, რომლის სინათლეზედაც საღამოობით სჩიჩქნიდა ხოლმე საფლავებს, გამოვიდა სახლიდამ და შინ სიტყვა დააგდო, რომ მალე დავბრუნდებიო.

საცოდავი მესაფლავე ქალაქისკენ გაემგზავრა და გაუდგა გრძელს, ერთად-ერთს ქუჩას. მოედანზედ, სადაც რიგზედ ჩამწკრივებულიყო დერეფნებიანი სახლები, რომლის ქვეშაც გამვლელ-გამომვლელები თავს შეაფარებდნენ ხოლმე ავდრის დროს. მესაფლავე შესდგა და ერთს ბოძს მიეყრდნო.

— ეს ხომ ცოდვააო, ჩაიტუტუნა: მაგრამ ყოვლად მოწყალე ღმერთი მაპატიებს. იცის, რომ ჩემთვის არ ჩავდივარ ამას; ვერ მოვითმენ, როდესაც ცოლ-შვილი სიმშილით მეხოცება. გრაფის განსვენებული მეუღლე ძალიან კეთილი ქალი იყო სიცოცხლის დროს. რატომ არ უნდა ვისარგებლო იმ ბეჭდებით, რომელიც ეხლა იმისთვის სრულიად არ არის საჭირო და ჩემს სახლობას-კი სიკვდილს პირიდგან წაართმევს?!.

მესაფლავემ ძალა მოიკრიბა და საყდრისაკენ გასწია. რადგანაც ყოველთვის საქმე ჰქონდა ხოლმე დამარხვის დროს საყდარში, ამისათვის განსაკუთრებული გასაღები ჰქონდა, რომელსაც მუდამ თან ატარებდა. დიდის ქარიშხალისა და უდროობის გამო ქუჩაზედ არავინა სჩანდა. მესაფლავემ საყდრის კარები გაა-

რომ, რაც გინდ დიდ-ფასიანი მამული იყოს, ორას თუმანზე მეტი არ მიეცეს, ისიც ერთს ხელში.

ხანგრძლივი სესხი-კი ღონისძიებას აძლევს ბანკს გაასესხოს ფული გირავნობის ფურცლებითა იმდენი, რამდენსაც მამულის ღირებულობა შესძლებს და აიტანს. აი ამაშია დიდი მნიშვნელობა ხანგრძლივის სესხისა ვენახებზე ჩვენში. ეხლა ვენახი რომ ათას თუმნადაც ჰღირდეს, ორას თუმანზე მეტს ვერ მიიღებს სესხად პატრონი და ეს დიდი დანაკლისია პატრონისათვის, რომელსაც ქონება დიდ-ფასიანი აქვს და გაჭირებაში-კი სავსებით ვერ გამოუყენებია საკრედიტოდ, მაშასადამე, ამ მხრით ქონება მისი უქმია. გარდა ამისა, მოკლე ვადიანი სესხი, რომლის ბუნება ის არის, რომ ვადის განმავალობაში სარგებელი უნდა იღოს და ვადის შემდეგ თავნი ერთბამად და სრულად დაიბრუნოს, მეტად სამძიმოა სესხის ამღებისათვის ჯერ იმ მხრით, რომ ვერა უძრავი მამული მოკლე ხანს ვერ გაუსწორებს პატრონს თავნსა და სარგებელს სესხისას, მამულისთვის აღებულისას. რაკი ესეა, პატრონმა სხვა ღონე უნდა იღონოს ვალის გასასტუმრებლად და მისთვის სწორედ ეს არის ძნელი და გასაჭირი. გძელ-ვადიანი სესხი-კი, გირავნობის ფურცლებით აღებული, შესაძლოა მოშორებულ იქმნას ყოველ წლივ ნაწილ-ნაწილად და თან-და-თანობით გაუჭირებლივ, თუ პატრონი მუყაითია და ვალს ვალად ჰხადის. გაუჭირებლივ ვამბობთ იმიტომ, რომ გძელ-ვადიანი სესხი, მამულის სარგოდ მამულზე მიქცეული, აძლიერებს მამულის შემოსავალს და გაძლიერებული შემოსავალი გაუჭირებლივ გადიხდის ვალსა.

ეს აზრები რომ წავიმძღვაროთ წინ, დავინახავთ რა დიდი მნიშვნელობა ექმნება ჩვენთვის, თუ სამინისტრომ შესაძლოდ დაინახა ვენახების დაგირავებით ხანგრძლივის სესხის აღება. ჯერ ერთი ისა, რომ სესხის სიდიდე შეზღუდული არ იქნება ნაღდის ფულის მეტნაკლებობისაგან და ვენახის პატრონს კარი გაეღება სესხი მიიღოს იმოდენი, რამოდენსაც მოითხოვს ღირებულება ვენახისა, მეორე ისა, რომ სესხის ამღებს ნება მიეცემა თუნდ ერთბამად დაუბრუნოს ბანკს აღებული ვალი, თუნდ ცოტ-ცოტად და თან და-თანობით იხადოს ვადის კვალობაზე, მესამე ისა, რომ ხანგრძლივი სესხი, ცოტ-ცოტაობით, ნაწილ-ნაწილ და თან-და-თანობით სახდელი, ნებას აძლევს პატრონს კრედიტით მოშველებულ ფულით განაკარგოს გირაო მამული, გაუძლიეროს მოსაცემი მოსავალი და მით თითონაც გაღონიერდეს და ვალსაც გაუჭირებლივ გაუძლვეს.

მოკლე ვადიანი სესხი, 3-ის წლით აღებული, ამ უკანასკნელს შემწეობას არ მისცემს მამულის პატრონს, იმიტომ-რომ შემოსავლის გაძლიერებისათვის მამულის განკარგებაა საჭირო და მამულის განკარგება კიდევ დიდის ხნით ფულის დახათრებას თხოულობს. უძრავი ქონება, ვენახი იქნება, თუ სხვა რამ, იმისთანა ბუნებისაა, რომ მასზე მიქცეული ფული პატრონს გვიან, დიდის ხნის განმავალობაში უბრუნდება თავისის სარგებლით, ისიც ერთბამად არა, ცოტ-ცოტაობით, ნაწილ-ნაწილ და თან-და-თანობით. ამიტომაც თვითონ საადგილ-მამულო კრედიტი, რომელიც დაფუძნებულია მარტო უძრავ ქონებაზე, ამ უძრავ ქონების ბუნებაზევეა ზედ-გამოჭრილი: იგიც ჰთხოულობს სესხის დაბრუნებას ერთბამად კი არა, ცოტ-ცოტაობით, ნაწილ-ნაწილ და თან-და-თანობით.

ვენახები კაი მოზდილ ლუკმას ქონებისას წარმოადგენს ჩვენში და თუ კანონი გძელ-ვადიან საკრედიტო საგნად გაჰხდის ამ დიდ-ფასიან მამულს, მაშინ ვენახი, ვითარცა ამ მხრითაც გამოსაყენებელი ქონება, თავისს სრულს ეკონომიურს მნიშვნელობას მიიღებს და ეს გარემოება, ცოტა არიყოს, ფასს მოუმატებს.

## ახალი ამბავი

*** ის კომისია, რომელიც მთავარ-მართებლის განკარგულებით იყო დანიშნული ხიზანთა დებულების გადასასინჯავად, დღეს, 14 დეკემბერს, ათავებს თავისს მოქმედებას. რომ უფრო კარგად გაერკვია ხიზანთა საქმე, კომისიამ თავისი წევრი კ. ვ. იაკიმოვი გორის მაზრაში გაჰგზავნა, სადაც მრავალია ხიზანთა რიცხვი და სადაც ადვილად შესაძლებელია იმათი ეკონომიური ვითარების შეგნება. ბ-ნ იაკიმოვმა, დაბრუნებისათანავე, წარადგინა თავისი გამოკვლევანი, რაიც უეჭველია გაუადვილებდა კომისიის საქმის დაბოლოვებას. განზრახული აქვთ კომისიის დადგენილება ახალ წლამდე გაარჩიონ მთავარ-მართებლის საბჭოში თავად-აზნაურთა წარმომადგენელთა თანდასწრებით.

*** ამ დღეებში დაბრუნდა ექიმი ავთანდილოვი საზღვარ-გარეთიდგან, სადაც მან, გერმანიაში, შეისწავლა ყელ-ჭირვების ახალი წამლობა დოქტორის რუ-ს სისტემით. ამ დღეებში ბ-ნი ავთანდილოვი წაიკითხავს თავისის მოგზაურობის შესახებ მოხსენებას მკურნალთა საზოგადოებაში. საზოგადოდ ექიმი ავთანდილოვი დიდის ქებით იხსენიებს ახალს გამოგონილს წამალს, რომლითაც მრავალი იკურნებაო. („კავკაზი“).

*** პარასკევს, 16 დეკემბერს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ, კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოებაში დანიშნულია კრება. კრებამ უნდა განიხილოს:

1, მიმდინარე საქმენი და მოხსენებანი: ნ. ა. სახაროვისა „ციებ-ცხელების პარაზიტებისა“ და ლ. ი. ოშაროვსკისა „ციებ-ცხელების ნევროზის“ შესახებ.

*** ტფილისის ოლქის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსი აცხადებს, რომ 12 დეკემბრიდგან პეტერბურგისა და მოსკოვის ფოსტა მიიღება და გაიგზავნება დღეში ორჯელ, ტფილისსა, ბორჯომსა და აბასთუმანში: ერთი ჩვეულებრივი და მეორე სუბუქი (გაზეთები, წერილები უბრალო და საგანგებო). ტფილისისა, ბორჯომისა და აბასთუმანიდგან პეტერბურგისა და მოსკოვის ფოსტა გაიგზავნება დღეში ორჯელ, ასე, რომ „სუბუქი“ ფოსტა გაიგზავნება ტფილისიდგან საღამოს 5 საათზედ. ამ გვარად ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში 3 ან 4 საათზე, მიტანილი წერილები გაიგზავნება იმ დღესვე კავკავის გზით პეტერბურგსა და მოსკოვში. ამ სუბუქის ფოსტის დაარსებით პეტერბურგსა და მოსკოვში კორესპონდენციები მთელი დღე და მით ადრე იქმნება მიღებული. კავკავიდგან სუბუქი ფოსტა გამოიგზავნება ტფილისში დილის 7 საათზედ მსწრაფლ მავალის მატარებლის შემდეგ.

*** გუდაუთი. ბ-ნ თ. გოგიტიძის მეცადინეობით მომავალ იანვრიდგან გუდაუთლები ვეღირსებით ჩვენს პატარა დაბაში ქართულ-რუსულ-ბერძნულ სამკითხველოს. ჯერ-ჯერობით სამკითხველოში გვექნება მარტო ჟურნალ-გაზეთობა, მერმე ღვთისა და კეთილის კაცების შემწეობით ვოცნებობთ წიგნებიც შევიძინოთ.

აქ ბლომად იჭერენ მშვენიერს კეფალს (თევზია) და ჰგზავნიან ქ. ბათუმს, ოზურგეთს, ქუთაისს, სენაკსა და სხვა ქალაქებში. ადგილობრივ ფუთი კეფალი ღირს მანეთ-ნახევრიდგან ორ მანეთ-ნახევრამდე.

*** ქ. გავგავი. აქაურს ქართველების პატარა წრეს ორი ყველასაგან პატივცემული და რიგიანი ქართველი კაცი მოაკლდა. 29 ნოემბერს გარდაიცვალა ს. დ. ყაზბეგი, ყველასაგან პატივცემული და მოძმისთვის გულშემატკივარი ადამიანი. აქაურებს გული დასწყვიტა ამ ამბავმა. მაგრამ ეს არ გვაკმარა ბედმა და 5 დეკემბერს კიდევ დაგვაკლდა ა. პ. გოზალოვი, რომელმაც ხანგრძლივის ავადმყოფობის გამო თავი მოიკლა. ყაზბეგის დასაფლავებას დიძალი ხალხი დაესწრო და გვირგვინებით შეამკეს გარდაცვალებულის კუბო.

*** სად. რკვიავი (ქიათურის რკინის გზა). 13 დეკემბერს შავი ქვის მატარებლის ქვეშ ჩავარდა შავს ქვაზედ მომუშავე ნური ტივთი-ოღლი და იქვე სული დალია.

*** გაზ. „ნოვ. ობოზ.“ ატყობინებენ სიღნაღის მაზრიდგან, რომ ბაკურციხესა და ტფილისს შუა უპოვნიათ უსულო გვამი, რომელიც ნუკრიანის მცხოვრები გ. ალადაშვილი გამომდგარა. გამოძიებას აღმოუჩენია, რომ განსვენებული თავისს ფურგუნიდგან გადმოვარდნილა და ფურგუნის თვალს ზედ გადუვლია.

## დამაკვირდი

ადამიანი ბატონი უნდა იყოს თავისის ქონებისა და არა მონა.

სენეკა

**

დაცემულს მტერი კიდევ შეიძლება წელში გაიმართოს, ხოლო მორიგებულიკი სრულიად დამარცხებულია.

შილერი

**

ძუნწს ბევრი მტერი ჰყავს, ხოლო მფლანგავს ბევრი მტერზედ უარესი მეგობარი.

ჰებბელი

## კორესპონდენცია

ს. ბანძა; 11 დეკემბერი. ჩვენის სოფლისთანა საცოდავად ჩამორჩენილი სოფელი მთელს საქართველოში არ მოიძებნება. სამკითხველო თუ წიგნთ-საცავი ორასის წლის იქით თუ გვექნება. მოსე მწერლებმა და მკითხავებმა გვირჩიეს, რომ წინ მსვლელობის შემაფერხებელიაო, თუ გინდათ თქვენი კეთილ-მდგომარეობით ევროპა გააოცოთ, ჩვენის თეორიით იხელმძღვანეთო, და ჩვენც ღვთის წინაშე კარგად გვაქვს შეგნებული მათი მოძღვრება. თუ გნებავთ დიდი მანძილი გადაგვარბენინოთ შორიდგან წიგნი დაგვანახვეთ. ადგილ-მამული ხელიდგან გვეცლება, რადგანაც სისხლ-ცრემლით, წვითა და დაგვით მონაგარი თითქმის მუქთად „ურიაკარელ“ (ურიათ უბანი) ვაჭრებს, უკაცრავად, ჩარჩებს უვარდება ხელში. დედამიწის ზურგზედ, რაც დამპალი, აყროლებული ფართლეული თუ სხვა საქონელია აქ საღდება მამა-სისხლ ფასად; ხშირად უთვალავ ჩარჩულ-ხრიკებით (სიტყვებით) მოხიბლულ-მოჯადოებული გულუბრყვილო სოფელი მზათაა მანეთიან საქონელში ორი მანეთიც მისცეს, ოღონდ ასეთ ყოვლად პატიოსან კაცს არ აწყენინოს მაშინ, როდესაც მრავალ გაჭირვებისაგან თავი ვერ დაუხწევია. საუბედუროდ, ამგვარი ოინბაზობა მარტო აქ როდია, თითქმის ყოველგან არის, მკითხველო! დიახ, ყოველგან ლენცოფის ბალახით უმასპინძლდებიან, ერთი ქარიშხალის ამოვარდნა საკმაოა, ისეთ მაწანწალებათ გადა-

---

ლო შიგ შესასვლელათ. იმისის ფანრის მკრთალმა ნათელმა მსწრაფლ გააბრწყინა საყდრის თაღები და მისმა წაღებმა ბაკი-ბუკი დაიწყო, თუმცა კი სცდილობდა ნელა დაედგა ფეხები დედამიწაზედ. რამდენმამე მისგან შემკრთალმა ღამურამ წინ გაურბინა; ოფლის ნაკადული შუბლზედ წურწურით ჩამოსდიოდა და, მიუახლოვდა რა საკურთხეველს, თავისს-და-უნებურად შესდგა შემკრთალი. შესწევს-კი ძალა, რომ აღსრულებაში მოიყვანოს თავისი განზრახვა? არა სჯობია, რომ სრულიად უარი სთქვას და თავი დაანებოს უკანონო სურვილს?

მაგრამ თუ შეასრულოს კაცმა განზრახული აზრი, ეხლავე უნდა შეასრულოს; ხვალ გვიან-ღა იქნება, ხვალ კუბოს მაგრად დალურსმავენ და დაჰბეჭდავენ. მესაფლავემ სვლა განაგრძო. საკურთხევლის უკან პატარა გასასვლელი იყო, რომელიც დე—მონტევილის საგვარეულო სამარხში შედიოდა. მესაფლავემ ძირ ჩასასვლელი კარი ახადა, დაეშვა ქვეით კიბეზედ და ჩავიდა მიწურში, სადაც კედელში რამდენიმე განყოფილება იყო; ერთს ამისთანა განყოფილებაში ესვენა გრაფის მეუღლის კუბოც, იქვე ახლოს მიყუდებული იყო ქვა, რომლითაც უნდა დაეხშათ იქ შესასვლელი და ასე სამუდამოდ მოეშორებინათ ყმაწვილი ქალის ნაშთი ადამიანის თვალისათვის.

მესაფლავემ ფანარი ძირს დასდგა, ჯიბიდგან დასაკეცი დანა ამოიღო, ჭახრაკები ამოაძრო და კუბოს თავი აჰხადა, შემდეგ ასწია მიცვალებულის ხელი და სცადა თითებიდგან ბეჭდების წაძრომა, მაგრამ მისმა გამხმარმა და კანკალა ხელებმა ვერ შესძლო ესა. უცბად გადასწყვიტა მოჭრა განსვენებულის ხელისა, მოსჭიდა მაგრათ ხელი და მოემზადა ამ საქმისათვის, მაგრამ უცბად იგრძნო, რომ მომაკვდავის ხელი შეიძრა. იფიქრა, ალბად მეჩვენებაო; მაგრამ არა, არ მოსტყუვდა, ხელი კვლავ შეიძრა, გრაფის მეუღლის ტუჩები მოძრაობაში მოვიდა და ნაზის, თუმცა გარკვეულის ხმით დაილაპარაკა;

—ოჰ, ღმერთო რა ნაირად მტკივა!

მესაფლავე შიშისაგან კინაღამ ძირს დაეცა გულ-შემოყრილი, მაგრამ მალე ისევე გონს მოვიდა; მოისაზრა, რომ გრაფის მეუღლე-კი არ მომკვდარა, სალათას ძილით სძინებიაო და გამოიღვიძა, რადგანაც მე ხელზედ ძალიან მოუჭირეო. მესაფლავეს აქამომდე ვერ შეეყენებინა სინდისის ქენჯნა, სინდისი ამხილებდა, რომ საშინელს საქციელს სჩადიხარო. ეხლა-კი თავისს ნამოქმედარს ისეთ სასტიკ დანაშაულად აღარა სთვლიდა და ამართლებდა თავისს თავს, ალბად თვით ღმერთმა ამომირჩია, რომ სიკვდილისაგან გადამერჩინა გრაფის მეუღლეო. იცოდა, რომ გრაფი მეტის-მეტის სიხარულით, ამ ამბავს რომ შეიტყობდა, მესაფლავეს განუსაზღვრელს ბედნიერებას მიანიჭებდა. სტაცა ხელი ფანარს, საჩქაროდ გამოვიდა ეკლესიიდგან და გრაფის სასახლისაკენ გაეშურა.

გრაფის მეუღლე ცხელებიან ავადმყოფის მდგომარეობაში იყო, თანდათან ირკვეოდა მტანჯველ და უაზრო ბოდვისაგან და განეჭვრიტა გონების თვალით, სადა თავდებოდა სიზმარი და სად იწყებოდა სინამდვილე.

ჰგრძნობდა, რომ ჩემს გარშემო ბნელა და ცივაო, ფარჩის შრიალი ესმოდა, როდესაც შეიძრობდა ხოლმე, მაგრამ იქნება ყოველივე ეს სიზმარია? ასეთი მძიმე ავადმყოფი, რომელსაც ისეთის სიყვარულით, და ფუფუნებით უვლიდენ, რად გამოუყვანიათ ასეთს სიცივეში? რად ჩაუცმევიათ ფარჩა? ეკითხებოდა იგი გონებას და სცდილობდა ზეზედ წამომდგარიყო. ბევრის ცდის შემდეგ წამოდგა და ხელების ფათურით ნიშიდგან მიწურს ოთახში გამოვიდა. ამ დროს ღრუბლები სრულიად გაიფანტა და გაღებულის კარებიდგან მთვარის მკრთალმა ნათელმა შემოანათა. გრაფის მეუღლემ უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, მიჰყვა ამ შუქს, ავიდა კიბეზედ და დაქანცული ძირს დაეცა საკურთხეველში. მხოლოდ ეხლა მიხვდა, სადაც იყო იგი; იმის თავიდგან გადმოვარდნილმა გვირგვინმა ყველაფერი გამოურკვია, თუმცა მაინც-კი სცდილობდა არ დამორჩილებოდა ამ საოცარს გამოცანას. “რა საშინელი სიზმარია.?“ დაიკივლა მან და გრძნობა-მიხდილი დაეცა.

ამ დროს მესაფლავემ კიდეც მიირბინა გრაფის სასახლესთან. საათმა შუაღამე დაჰკრა. მოსამსახურემ შეიწყნარა მესაფლავის ჩაციებული თხოვნა და სახლში შეუშვა. აღელვებულს ჯავრისაგან გრაფს ჯერ ისევ ეღვიძა. მესაფლავე გრაფის ოთახში შეიყვანეს და მოსამსახურის გასვლის უმალ დაეცა გრაფის წინ, უამბო ყველაფერი, რაც ჩაიდინა, ან გამოსცადა უკანასკნელს წუთებში, სთხოვა პატიება და ემუდარებოდა, საყდარში წამომყევიო. გრაფს ასე ეგონა სიზმარში ვარო თავისს ყურებს არ უჯერებდა. იმ იმედთან ერთად, ჩემი ძვირფასი მეუღლე დამიბრუნდებაო, შიშის გრძნობაც გაეღვიძა, რომ ვაი თუ საშინ-

გვაქციოს, როგორიც ხან-და-ხან ძილში გველანდებიან...

განი

## რუსეთის ცხოვრება

—

ზოგიერთმა მღვდლებმა საჩივარი შეიტანეს უმაღლესს სასამართლოში, რომ უკანონოდ დაადეს ჩვენს სახლ-კარსა და მიწას სათავად-აზნაურო გარდასახადიო. უმართებულესმა სენატმა განიხილა ეს საჩივრები და განმარტა, რომ ვინაიდგან უფლება პირადის აზნაურობისა ეძლევათ მხოლოდ მღვდელთა ქვრივებს, ამიტომ სახლ-კარი და მიწები თვით მღვდლებისა, ვითარცა სასულიერო წოდების წარმომადგენელთა, თავისუფალი უნდა იყოს სათავად-აზნაურო გარდასახადისაგანაო.

—

„Провитель. Вѣст.“-ში დაბეჭდილია საყოველთაო მიწერილობა მიწათ-მოქმედების მინისტრისა, რომელიც ტყის ადგილობრივ სამმართველოთა უფლების აღმატებას შეეხება. მინისტრი სახელმწიფო ქონებათა გამგეთ წინ-და-წინვე ნებას აძლევს, თავისის სურვილისამებრ სამსახურისათვის მიწა მოუზომონ ტყის დარაჯთ, ნება დართონ ხოლმე უსასყიდლოდ ხე-ტყის გაზიდვისა ეკლესიებს, მონასტრებსა და ეკლესიის მსახურთ შეღავათით დაუთმონ სახლში მოსახმარებელი შეშა ეკლესიის კრებულს, სახელმწიფო გლეხებად ნამყოფთ რომლებიც დაზარალებულნი იქმნებიან ცეცხლისაგან და მოინდომებენ სახლის აშენებას, ფასი დაუკლონ სოფლის საზოგადოებათ სასწავლებლის ასაგებად, გამხმარი და წაქცეული ხე-ტყე უვაჭროდ დაუთმონ და გაავრცელონ ვიდრე ხე-ტყის ხელ შეკრულობებისა და ამგვარი, მაგრამ უფრო შეზღუდული უფლება, მინისტრისაგან ტყის დარაჯთა უფროსებსაც ეძლევათ.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

დიდად საინტერესოა რასაკვირველია, რა აზრისაა რუსეთი სომხების საქმის შესახებ. აი რასა სწერს ამის გამო ბერლინიდგან გაზეთს „Standard“-ს:

„რუსეთის მთავრობასაც სურს სხვა სახელმწიფოებთან ერთად მონაწილეობა მიიღოს სომხების საქმეთა გამოძიებაში, მაგრამ ამავე დროს გამოაცხადა, რომ ბერლინის ტრაქტატის დადგენილების დარღვევა და გადაცვლება შეუძლებელია, სომხების საქმეში და არავითარის ცვლილების მოხდენის თანახმა არ ვიქნებით.

ამ უკანასკნელს დროს ლონდონის გაზეთები არა ერთხელ ამტკიცებდნენ, რომ რუსეთსა და ოსმალეთს შორის დამოკიდებულება ცოტა არ იყოს გამწვავებულიაო. ამის გამო გაზეთ „Agence de Constantinopol“-ს სწერს, ჩვენ დავალებული გვაქვს გამოვაცხადოთო, რომ

ინგლისის გაზეთების მიერ გავრცელებული ხმა, ვითომც რუსეთი უსიამოვნოდ უცქეროდეს ოსმალეთის მთავრობასა, და ეს უსიამოვნება იმითი აღინიშნა, რომ სულთანისაგან გაგზავნილს მისალოცს დეპეშას გულცივად მოეკიდნენო, — სრული სიცრუე და ბოროტ-განზრახული ჭორი. ამის წინააღმდეგ დამამტკიცებელი საბუთი ფუა-და ფაშის პეტერბურგში გაგზავნა არისო.

* *

ინგლისისა და რუსეთის დამეგობრების შესახებ საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთებმაც დაიწყეს ლაპარაკი. გაზ. „Figaro“-ს უკანასკნელს ნომერში, ამ გაზეთის ცნობილმა სადიპლომატიო თანამშრომელმა, რომელიც თავისს წერილებს ნამდვილის გვარისა და ს ხელის ნაცვლად „Whist“-ს აწერს ხოლმე, ერთი წერილი დაბეჭდა და, სხვათა შორის, აი რა აზრს გამოსთქვამს:

„მტკვი არ არის, რომ რუსეთი ისევ საფრანგეთის მეგობარია, მაგრამ ამ ჟამად ყველაზედ უფრო ის გარემოება იზიდავს საზოგადოების ყურადღებას, რომ რუსეთისა და ინგლისის სამეფო კარნი ძალიან დაუმეგობრდნენ ერთმანეთს და ეს გარემოება მით უფრო მოულოდნელი იყო საზოგადოებისათვის, რომ ამ გვარი თანაგრძნობა და კავშირი ინგლისსა და რუსეთს შორის 1815 წლიდგან აღარ ყოფილაო. ეს დაახლოვება საფრანგეთს არავითარს ზიანს არ მოუტანს. რასაკვირველია, თუ ჩვენი ეროვნული პოლიტიკა მარტო იმაში მდგომარეობს, რომ ინგლისელებს, სადაც-კი უნდა შეგვხვდნენ, ყველა დროს და არავითარს შემთხვევაში იმათთან არავითარი დამოკიდებულება არ დავიჭიროთ, მაშინ რუსეთისაგან უფრო დაჩაგვრას მივიღებთ, ვიდრე წაქეზებასა, და რუს-ინგლისელების მეგობრობა, რაც უნდა შეზღუდული იყოს, ჩვენთვის უფრო ხელის შემშლელი იქმნება, ვიდრე სასარგებლო. სიფრთხილე იმას გვირჩევს, რომ ამიერიდგან ინგლისს უფრო ადვილად დავუყვეთ ხოლმე უოკვლს საქმეში. უკვე ბევრსა ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ საფრანგეთის ახალს ელჩს, ლონდონში გამწესებულს, რომელმაც ორშაბათს გადასცა დედოფალს თავისი რწმუნების სიგელები, ძალიან კარგად დაუხვდნენო და ელჩმა აქ ისეთი ნიადაგი ჰპოვა, რომელიც შესაძლებელად ჰყოფს მორიგებით და სიამოვნებით გადასწყვიტოს ყოველი სადავიდარაბო საქმე, საფრანგეთსა და ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტროს შორის ატეხილი.

## უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** ლესეპსის გვამის დაკრძალვას ხალხი ისე ბევრი არ დაესწრებია, უფრო-კი იმიტომ, რომ აღკრძალული ჰქონდათ ღირსეული პატივის ცემა განეცხადებინათ განსვენებულისათვის, როგორც სამხედრო წოდების კაცისათვის. წირვაზედ მხოლოდ იმისნი ნათესავნი და მეგობარნი იყვნენ. ძალიან ცოტანი ყოფილან ჟურნალების წარმომადგენელნი. ორს ეტლს მიჰქონდა განსვენებულის გვირგვინები სუეზის არხის საზოგადოებისაგან, სამეცნიერო აკადემიისა, საგეოგრაფიო საზოგადოებისა, ქალაქებისა იზმაილიესი, პორტ-საიდისა და კაირისაგან, კნ. იურიევსკისაგან და სხ. სიტყვები წარმოსთქვეს დასაფლავებაზედ: გიშარმა სუეზის არხის საზოგადოების მხრივ, ქერარმა საფრანგეთის აკადემიის მხრივ და გიმლიმ საგეოგრაფიო საზოგადოების მხრივ.

—

**აღმოსავლეთის საქმე.** ოფიციალურ ცნობებიდგან იუწყებიან, რომ ადმირალ ფრიმენტლეს უფროსობით ინგლისის ძლიერი ესკადრა ამ ჟამად ჩუსანის კუნძულებთანა სდგას. ამ ესკადრას საგნად ისა აქვს, რომ იაპონიას არ მისცეს ნება შანჰაის და ნანკინს დაეცეს თავზედ და არა ის რომ ვითომ ჩუსანის კუნძულების დაპყრობა უნდოდეს. ხმა დადის, მარლა აზრი ინგლის და რუსეთის მორიგებისა ორივე ამ სახელმწიფოთა მთავრობას აქვს და ორივენი არიან მოწადინებულნიო.

—

**ინგლისი.** გაზეთები „Westminster garette და Morning Post“ ქ-ნ ნოვიკოვის საპასუხო წერილში ამბობენ, რომ სან სტეფანოს ხელ-შეკრულობის უფლებათა აღდგენა საკმარის დამცველი არ იქმნება ოსმალეთის ქვეშევრდომ სომხებისაო, საჭიროა დავადგინოთ, რომ ხელშეკრულობის ძალა ოსმალეთის ყოველ პროვინციაში მცხოვრებ სომხებს შეეხებოდესო.

გაზეთი «Observer“-ი აცხადებს, რომ ერთად ერთი საშუალება სომხების იმ გვარის მდგომარეობისაგან დახსნისა ის არის, რომ ან სრულიად შეუერთდენ რუსეთს ან არა და რუსეთის უზენაეს მფარველობის ქვეშ იყვნენო.

## ახალი პრეზიდენტი პარლამენტისა ბრისსონი

—

საფრანგეთის პარლამენტის ახალი პრეზიდენტი ჰანრი ბრისსონი, რომელმაც დღეს გარდაცვალებულის ბურდოს ადგილი დაიჭირა, ეკუთვნის რესპუბლიკის დასის თვალ-საჩინო წარმომადგენელთ და კერძოდ-კი რადიკალურს დასს. ის ეხლა 60 წლისაა. დაიბადა ბურჟში, განათლება მიიღო პარიზში და ჯერ ისევ ყმაწვილი კაცი იყო, სულ 19 წლისა, როდესაც მიემხრო იმ პროფესორთა გუნდს, რომელთაც წინააღმდეგობა განაცხადეს როდესაც ნაპოლეონმა საერო წარმომადგენელთა წინააღმდეგ ცვლილება მოახდინა. ბრისსონმა ამ პროფესორთა დახმარებით დააარსა პირველი სარესპუბლიკო გაზ. Avenir-ი ლათინთა უბანში. ბრისსონი ამ დროს უფრო პოლემიკურს წერილებსა სწერს და პუბლიცისტურს ნიჭსაც იჩენს; მაგრამ მალე ის უფრო მძლავრის იარაღით იჭურვება ნაპოლეონის წინააღმდეგ. 1856 წ. ის მიემხრო მასსონების საზოგადოებას, შეიქმნა ამ ამხანაგობის ენერგიულ წევრად, იღებდა მონაწილეობას პოლიტიკურს მოძრაობაში, რომელმაც იჩინა თავი მაშინ მასსონებთა შორის, და ჰქადაგებდა რესპუბლიკურს და ანტიკლერიკალურს აზრებსა: ამ ბრძოლამ განავითარა მისი ორატორობის ნიჭი.

სამოციანი წლები ბრისსონის ცხოვრებაში გაძლიერებულ პუბლიცისტიკურ მოქმედების ხანა იყო: 1861 წელს ის იღებდა მონაწილეობას გაზ. Reforme Litterpaire და Phare de la Loire-ში 1865 წ. Morale Independanté-ს რედაქტორი იყო; 1864 წ. ის მუდმივი თანამშრომელი იყო Temps-ში; 1868 წ. ბრისსონმა, შალმელლაკურმა და გამბეტტამ დააარსეს Revue Politique-ი. ამ ორგანოს არსებობა ხანგრძლივი არ იყო: არ გასულა ერთი წელიწადი, რაც აღკრძალეს მისი ბეჭდვა, და 1869 წ. ის გადადის Avenir National-ში, რომელიც სარესპუბლიკო გაზეთი იყო რადიკალურ მიმართულებისა და რომლის რედაქტორადაც პეირა იყო; ის პეირა, რომელიც შემდეგში რესპუბლიკის დროს სენატის ვიცე-პრეზიდენტად შეიქმნა.

ამავე წელში ბრისსონმა დაიწყო თავისი საპოლიტიკო მოღვაწეობა. იგი 1871 წელს 8 თებერვალს ამოირჩიეს დეპუტატად სენის დეპარტამენტში. ამ დროდგან ბრისსონი დიდს მოღვაწეობას იღებს რესპუბლიკის საქმეებში. პირველი ნაბიჯი ამ სარბიელზედ მან გადასდგა 1871 წელს იმითი, რომ წარადგენა თავისი აზრი პოლიტიკურ დამნაშავეთა განთავისუფლების შესახებ. 3 ნოემბერს 1881 წ. ბრისსონი ამორჩეული იქმნა დეპუტატთ პარლამენტის პრეზიდენტად. მხოლოდ ექვსს აპრილს 1885 წელს იგი გახდა პირველ მინისტრად. პრეზიდენტის არჩევანების დროს, გრევის სამსახურიდამ გამოსვლის და კარნოს სიკვდილის შემდეგ, ბრისსონი უმწვერვალესს დასთა კანდიდატად იყო. პარლამენტში უკანასკნელს ხანს იგი წარმომადგენელი იყო უმწვერვალესის დასისა. პანამის საქმის გარჩევის დროს იგი გამომძიებელ კომისიის თავჯდომარედ იქმნა დანიშნული პარლამენტისაგან. 1893 წლის საზოგადო არჩევნების შემდეგ

---

ლად ვსტყუვდებით.

— ვაი შენ, თუ მომატყუე! შესძახა გრაფმა: თუ სუზანა — ასე ეძახდენ გრაფის მეუღლეს — ცოცხალი იქნება, ღმერთი დანაშაულს გაპატიებს და მეც უხვად დაგასაჩუქრებ.

გრაფი მაშინვე გაეშურა საყდრისაკენ და თან მოსამსახურე და მესაფლავე ახლდნენ. არავის მათგანს გზაზედ ხმა არ ამოუღია. მოახლე, რომელსაც ღამე საყდარში შესვლისა ეშინოდა, კარებთან დასტოვეს. გრაფი-კი უკან მისდევდა მესაფლავეს, რომელიც გზას ფარნით უნათებდა. ორივემ სწრაფად გაიარეს საკურთხეველი, მაგრამ იმ მხრიდგან-კი არა, სადაც გულ შემოყრილი იდო გრაფის მეუღლე, ამასთან ფანარიც ძალიან მკრთალად ანათებდა, ასე რომ გულ-შემოყრილი ქალი სულ ვერ შენიშნეს. ჩავიდნენ ძირს ნიშთან, მაგრამ წარმოიდგინეთ იმათი გაოცება, კუბო ცარიელი იყო.

— სუზანა! ჩემო საყვარელო, შესძახა გრაფმა, სადა ხარ?

ჩამი-ჩუმიც არსაიდგან ისმოდა.

— ავაზაკო, მატყუარავ! შესძახა გრაფი მესაფლავეს: მომატყუე განა!?.

— აქ უნდა იყოს თქვენი მეუღლეო, იმეორებდა მესაფლავე და შიშისაგან მუხლებზედ დაეცა: ამ ადგილასვე ამომხდეს სული, თუ მომეტყუებინოთ.

— ფიცსაცა ჰბედავ! დაუყვირა მესაფლავეს გრაფმა. გაბრაზებული დარბოდა და ათვალიერებდა იქაურობას. ამ დროს თვალი მოჰკრა დანას, რომელიც მესაფლავეს დავარდნოდა კუბოს გვერდით. ცბიერი ღიმილი დაეტყო გრაფის სახეს, ამ ღიმილით დააშტერდა მესაფლავეს და უთხრა: იცოდე, ღმერთი მართლ-მსაჯულია! აი იარაღი, რომლითაც საძაგელი დანაშაული ჩაიდინე და რომელიც ღმერთმა, ხელთ მომცა, რომ სამაგიერო გადაგიხადო. ილოცე და სასიკვდილოდ მოემზადე.

გრაფმა მარცხენა ხელი სახელოში სტაცა მესაფლავეს, მარჯვენა-კი დანის დასაკვრელად განამზადა.

ამ დროს ეკკლესიაში, იმათ ზემოდგან, საშინელი გმინვა გაისმა, გრაფმა მაშინვე განათავისუფლა თავისი მსხვერპლი და ყური აცქვიტა. ხელ-ახლად მოესმათ კვნესა. აცვივდნენ ორივენი ზემოთ და კიბეზედ მესამედ კიდევ მოესმათ ეს ხმა. ჩქარა გაემართენ იმ მხრისკენ სადაც გულ შემოყრილი ქალი ეგდო. გრაფი გადაეხვია თავისს ცოლს და დაუწყო კოცნა და ალერსი. ეხლა-კი დარწმუნდა, რომ იგი სუნთქავდა და გული უცემდა მკერდში. მოულოდნელის ბედნიერებით დიდად აღელვებული გრაფი კინაღამ ჭკუაზედ შესცდა და ხმა მაღლა შეჰღაღადა.

— ღმერთო, ნუ მომაკლებ შენს წყალობას, დამეხმარე, გემუდარები, თორემ ვგრძნობ, რომ ძალა სრულიად მეკარგება!

შემდეგ მოუბრუნდა თავისს თანამგზავრს და უთხრა:

— ჩემო მეგობარო! არ ვიცი რითი გადაგიხადო მადლობა? ჩემი სიმდიდრე, ჩემი სიცოცხლე მთლად შენ გეკუთვნის!.. ჩემი ნაბადი აიღე ჩქარა! გავახვიოთ შიგ, მხოლოდ ნელაკი!.. ნელა, თორემ სძინავს!.. ისე მოვახერხოთ, რომ არ გავაღვიძოთ!

ორივემ საყდრიდგან გამოიტანეს ნაბადში შეხვეული გულ-შემოყრილი ქალი. ჯაინახა თუ არა მოახლემ, რომ მკვდარი მიჰქონდათ, პირჯვარი გადაიწერა და სირბილით გაიქცა. გრაფმა სასტიკად უბრძანა, დაბრუნდი ფარანი წამოიღე, რომ გზა გაგვინათოო.

ერთის საათის შემდეგ გრაფის მეუღლე წყნარად განისვენებდა თავისს ლოგინში და ყველანი თავს დასტრიალებდნენ. გრაფი იმის სუნთქვას გაფაციცებით ყურს უგდებდა. რამდენისამე საათის შემდეგ გამოიღვიძა გრაფის მეუღლემ და ორიოდე დღეზედ სრულიად ფეხზედ წამოდგა კიდეც.

გაიარა ორმა კვირამ. მხიარული ზარის რეკა ბოქეს საყდრის სამრეკლოდგან ხელ-ახლად იწვევდა ქალაქის მცხოვრებთ ეკკლესიისაკენ. გრაფი და გრაფის მეუღლე მესაფლავეს ახლად დაბადებულს შვილს უნათლავდნენ.

გრაფის მეოხებითა და გულ-კეთილობით იგი კარგა შეძლებულ კაცად შეიქმნა; ამის გარდა გრაფმა, როგორც მბრძანებელმა თავისის სამფლობელოისამ, მესაფლავე განათავისუფლა ყოველსავე სასჯელისაგან, რომელიც უნდა გარდახდოდა იმას მის მიერ განზრახულის ბოროტ მოქმედებისათვის.

ნათლობის შემდეგ სასახლის ეზოში ჩინებული წვეულება იყო გამართული, რომელზედაც ბოქეს ყველა მოქალაქენი იყვნენ მოწვეულნი. გრაფი დე-მონტევალის მეუღლის ტყუილის სიკვდილის ამბავი სწრაფად მოეფინა მთელს ევროპას და დიდი ლაპარაკიც ასტეხა, თუმცა კი იმ დროს ყოველის ადამიანის გონება და გულის-ყური ოც-და-ათ წლიან ომებსა ჰქონდა დატყვევებული.

ა. მეჯუღელი

უმწვერვალესმა დასმა იგი დაასახელა კანდიდატად პარლამენტის პრეზიდენტის თანამდებობაზედ და ამორჩეულ იქმნა კიდეც.

## ისტორია და არხეოლოგია

არხეოლოგთა საყურადღებოდ.

ნოემბრის პირველს რიცხვებში თიონეთის მაზრიდგან ახალ გზის გასაკეთებლად გამოსულთ მუშებს დუშეთის მაზრაში არაგვის პირას, ანანურ და ჟინვალს შუა, უპოვიათ, სხვათა ნივთებთა შორის, ძველის-ძველი, ძალზედ დაჟანგებული რკინის ალვირი, ბრინჯაოს სამაჯური, რომელიც, ვგონებთ, ოქროში დაფერილი უნდა იყოს, და ტყვიის ყელზედ შესაბმელი რგოლი. ძალიან საინტერესო არის ალვირის ნაკეთობა. იგი წარმოადგენს ორის მხრით სამ-სამს ნაჭერს, შუაში შეკავშირებულია ორად გადაგრეხილი რგოლი. ამ კავშირში გაყრილია ბრტყელი რგოლი, რომელსაც გოჯ ნახევარი აქვს სიგძე და სიგანე. ეს რგოლი კბილებიანია და ძველებურ მანეთ ნახევრიანის ტოლა იქნება. ამ გვარ ალვირით ალაგმული ცხენი პირ-ღია უნდა ყოფილიყო და რაც უნდა თავში გამწეობა სცოდნოდა, ადვილად დაიმორჩილებდა ადამიანი. იქნება ამ გვარის ალვირის ხმარებით აიხსნეს ის გარემოება, რომ ძველ ნახატებში ცხენებს პირ-ღიასა ჰხატავდნენ. არა ნაკლებ საინტერესო არის საყელური, იგი წარმოადგენს გრგვალს, რკალს რომელსაც თავები უფრო მომსხო აქვს—შუაგულზედ. თავებთან, თითო გოჯზედ ამოჭრილი აქვს ჩუქურთმები. ეს ჩუქურთმებიც, როგორც მთელი საყელური, ოქროში დაფერილი ყოფილა. სამაჯური ან ბრინჯაოსი და ან თითბრისა უნდა იყოს. ბრტყელია, თავებთან ერთ გოჯამდეა გაბრტყელებული, შუაში-კი ნეკის სიგანეზედ. ზედ ჩუქურთმები აქვს ამოჭრილი. ყველა ეს ნივთები პატივცემულმა თიონეთის მაზრის უფროსმა ნ. ი. ალექსი-მესხიშვილმა „წერა-კითხვის საზოგადოების“ მომავალს მუზეის შესწირა.

## შემოწირულება

ჩვენ მივიღეთ პახვალა ლიფონავას მიერ შეკრებილი ოც-და-თორმეტი მანეთი რუსთაველის ფონდის სასარგებლოდ. აქავე ვბეჭდავთ შემომწირველთა სიას:

გრიგოლ პახვალას ძემ ლიფონავამ 1 მან. 10 კ., დავით ლევანის ძემ ლიფონავამ 1 მ., ბეგლარ ვუხალაშვილმა და გიორგი სალაყაიამ 1 მ., სამსონ გუგუნავამ 1 მ., დომენტი ასათიანმა 1 მ., გიორგი ერისთავმა 1 მ., სოლომონ მერაბის ძემ კიკიანმა 1 მ., ნიკო სიმონის ძე ნაჭყებიამ 1 მ., მაქსიმე სტეფანეს ძე ხაბურზანიამ 1 ს., გოგია და პავლე კიზირიებმა 2 მან., ნესტორ გერსამიამ 1 მ., ალექსანდრე დიმიტრის ძემ გაბუნიამ 1 მ., პლატონ თათარიშვილმა 1 მ., კოწია კეიდიამ 1 მ., ი. ჭ. 1 მ. თ. მიხეილ სიმონის ძემ ჩიჩუამ 1 მ., ესტატე ბუკუჩავამ 1 მ, სპირიდონ დავითის ძემ დგებუაძემ 1 მ., კალისტრატე კეიდიამ 1 მ., სიკო თოდუამ 1 მ., ვლადიმირ ძოწენიძემ და გიორგი კოზმავამ 1 მ., ალექსი და ფარნაოზ მილორავამ 1 მ., პეტრე კეიდიამ და გიორგი ჩიქოვანმა 90 კ., პავლე გაბუნიამ 1 მ., ლევან აფაქიძემ 1 მ., გიგო ფირცხელავამ 1 მ., თომა ახვლედიანმა 1 მ., ნიკო ფარნაოზის ძემ გეგეჭკორმა მ., პროკოპი საბაშვილმა 1 მ., თეიმურაზ კარტოზიამ 1 მ., ბეგლარ ლიფონავამ 1 მ. სულ 32 მან. ამ ფულისა ვქონდა 1083 მან. 32 კაპ. ამით შესდგა 1115 მან. 32 კაპ.

# დეპეშა

(ჩრდილოეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

13 დეკემბერი

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და მიიღო წოდება მიხეილის არტილერიის აკადემიის საპატიო პრეზიდენტისა, ხოლო დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის წოდება.

უმაღლესის რესკრიპტით იმპერატორის ალექსანდრე III-ის ძეგლის ასაგებად და შემოწირულებათა შესაკრებად მოსკოვის გენერალ გუბერნატორის თავმჯდომარეობით არსდება განსაკუთრებული კომიტეტი, რომლის წევრებადაც იქმნებიან მოსკოვის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, მოსკოვის ქალაქის მოურავი და ორი სხვა წევრი, რომლებიც უმაღლესად უნდა დაინიშნენ.

**პარიჟი.** მერსემ პარლამენტში კანონ-პროექტი წარადგინა ღალატის შესახებ, რომელიც გაიგზავნა სამხედრო კომისსიაში. ჟორესს ჰსურს წინადადება შეიტანოს, რომ კანონ-მდებლობიდგან გამორიცხულ იქმნას სასჯელი სიკვდილით. პარლამენტი თხოულობს მერსეს კანონ-პროექტი ეხლავე იქმნას გარჩეული და შეწყნარებული. კამათობის დროს უთანხმოება მოუხდათ ჟორესს და მინისტრს ბარტუს. პრეზიდენტმა წინადადება მისცა, ჟორესსი დროებით გამოერიცხათ. ეს წინადადება ხმის უმრავლესობამ შეიწყნარა და დარბაზიდგან გავიდა ჟორესსი, რომელიც უმწვერვალესს მემარცხენეთ საზარელის ხმაურობით გაცილეს. სხდომა შესწყდა. ჟორესსმა ბარტუს სეკუნდანტები გაუგზავნა. დუელი ხვალ მოხდება. რესპუბლიკელთა სენატში მორელლემ წინადადება შეიტანა, რომ ღალატი საპოლიტიკო დანაშაულად არ ითვლებოდესო.

**ლონდონი.** ამ კვირაში ხირაშიდგან გემებით გაგზავნილ იქმნება 25,000 კაცი. კორეს მთავრობა დასთანხმდა საერთაშორისო ვაჭრობისათვის კიდევ ორი ნავთსადგური დააარსოს. მაკპო ხოლადოს მახლობლად და ხუმამკო მდინარე ტატუნგზედ.

ჩრდილო-მანჯურიაში მცხოვრებელმა მაჰმადიანებმა აჯანყება მოახდინეს.

**ტოკიო.** პარლამენტმა თავისი მოქმედება სეფე-სიტყვით დაიწყო. გამარჯვებათა ჩამოთვლის შემდეგ, გამოცხადებულ იქმნა, რომ იაპონელები, სიცივისა და სხვა-და-სხვა გაჭირვების მიუხედავად, კვლავ განაგრძობენ მტრების მიწა-წყალში სატევს მოქმედებასა, რომ იაპონიისა და სხვა ნეიტრალ სახელმწიფოთა ურთიერთობა ეხლა უფრო მეგობრულია, ვიდრე სხვა დროს და რომ ზოგიერთ სახელმწიფოებთან ხელშეკრულობის განხილვა უკვე დასრულდა და სხვებთანაც საქმე კარგად მიდისო.

14 დეკემბერი

**პეტერბურგი.** რუსეთის ელჩი გერმანიის იმპერატორის წინაშე, გენერალ-ადიუტანტი შუვალოვი დანიშნულ იქმნა ვარშავის გენერალ-გუბერნატორად და ვარშავის ოლქის ჯარების სარდალად.

პეტერბურგის ბირჟა, 13 დეკემბერი.

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,39 | 7,41 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 147¼ | 148 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | 243¾ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 223½ |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | 193½ |
| კირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | 101 | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | — ,, | 99 | — ,, |
| ქუთაისის ბანკის 6%. | 101 | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . . | — ,, | 99½ | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |


# განცხადებანი

მიიღება ხელის მოწერა
1895 წლისათვის
ყოველ თვიურ ქართულ ჟურნალ
**მოამბეზე**
(II წ.)

| | 1 წ. | 6 თვ. | 3 თვ. |
|---|---|---|---|
| ფასი გაგზავნით კავკასიისა და რუსეთის ქალაქებში . . . | 10 მ. | 6 მ. | 4 მ. |
| საზღვარ-გარედ . . | 13 მ. | 7 მ. | 5 მ. |

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვრამდე—4 მ., 1 აპრილამდე—3 მ. და 1 სექტემბრამდე—3 მან.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალ „მოამბის“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ, № 13.

ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, редакція „Моамбе“.

რედაქტორი ალექსანდრე შუონია. გამომცემელი ალექსან. ჯაბადარი

(5—უ.—2)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ვ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. შრაიტასევიჩი,—11½—12½ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. 12½—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. ბურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

კ. ი. ფრანციუსი, 7—7½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

**„კ ვ ა ლ ი“**

გამოვა 1895 წელს ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თაბახამდის

რედაქცია ყოველ ღონისძიებას ხმარობს გააუმჯობესოს შინაარსი და სახე გაზეთისა, ამ განზრახვით მან დაიბარა პეტერბურგიდან მრავალი საუკეთესო ცინკზე და სპილენძზე მოჭრილი მხატვრობა.

გაზეთი წლიურად ღირს გაუგზავნელად **7** მანეთი, ხოლო გაგზავნით **8** მანეთ. ნახევარის წლის გაუგზავნელად **3** მან. **50** კაპ. გაგზავნით 4 მან. სამი თვისა გაუგზავნელად **2** მანეთ, გაგზავნით **3** მანეთი. თითო ნომერი აბაზათ. ხელის მომწერლებს წლის ფული შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გამოგზავნონ.

## ხელის მოწერა მიიღება

ტფილისში არწრუნისეულ ქარვასლაში: „ქართულ სახალხო სამკითხველოში“, „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში. და თვით „კვალის“ და „ჯეჯილის“ რედაქციაში. (Алтилер ул. д. Тамамшева, возлѣ кадетскаго корпуса).

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერთა შეუძლიათ მიმართონ: ქუთაისში: თაკიშ. ბეჟან. ლორთქიფანიძეს და ვ. ბეჟანიშვილისა და ძმათ წერეთლების წიგნის მაღაზიებში:—ბათუმში: მათე ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთიბი გსაეატოში და პავილიონში გერ. კალანდაძესთან.—თიონეთში: ივ. თ. ჩისალიშვილს.—გორში: ზაქარია დავიდოვთან და ეკ. ფურცელაძესთან—ჭიათურაში თედორე კიკვაძესთან,—ყვირილაში: თ. ხუსკივაძესთან,—ახალსენაკში და ოზურგეთში: კ. თავართქილაძესთან.—ჩოსატაურში: მიხ. ჯიბლაძის წიგნის მაღაზიაში.—სამტრედიაში: ყარამან ჩხეიძესთან-—თელავში: მ. ცისკარაშვილთან-

ვინც „ჯეჯილსა“ და „კვალს“ ერთად დაიბარებს, მათთვის წლიურათ ეღირება გაუგზავნელათ **10** მან., ხოლო გაგზავნით **12** მან.

კერძო განცხადება დაიბეჭდება სხვა-და სხვა ენაზე

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.

**„ივერია“**

1895 წელსაც გამოვა ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელიც ზედ მოსდევს კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12 თვით. . . . | 10 მ.—კ. | | 6 თვით . . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . . | 9 ,, 50,, | | 5 ,, . . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . . | 8 ,, 75,, | | . . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . . | 8 ,, —,, | | 3 ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . . | 7 ,, 25,, | | 2 ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . . | 6 ,, 50,, | | 1 ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВЕРІА“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქი გარეთიდგან სხვა ადგილს გადავიდა სადმე, ქალაქს გარედვე,—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს ხოლო წვრილმანს წერილებს რედაქცია არ ინახავს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან 7½ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.


Дозволено цензурою, Тифлисъ 14-го Декабря 1894 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.